ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4627327

ნომერი: AR1697015

თარიღი : 25.07.2019

გაცემის თარიღი : 12.08.2019

გაცნობის თარიღი : 12.08.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ; ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ; ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ორგანიზაცია:
- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ № 4615157 და № 4623464 გადაწყვეტილებებით დაგევალათ განახლებული არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებისა და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟის წარმოდგენა. ასევე ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ № 4615157 და № 4623464 გადაწყვეტილებებით დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ: თქვენს მიერ კვლავ წარმოდგენილია 02/05/2019 წლის AR1678899 და განცხადებაზე ატვირთულ არსებული სიტუაცის ამსახველ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, რომელიც ასევე წარმოდგენილი იყო 18/07/2019 AR1695604 განცხადებაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ წარმოდგენილი AR1696086 განცხადება რჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.